საკონტაქტო ინფორმაცია

აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი
ფარნავაზ მეფის №84/86, ბათუმი, 6010, საქართველო
ტელ: +995 422 274719
ელ.ფოსტა: info@gobatumi.com
www.gobatumi.com

TravelPlaces BATUMI

Download on the App Store

ANDROID APP ON Google play

შემოგვიერთდით facebook.com/visitbatumi

აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი - 2015

არ იყიდება

აჭარა ბათუმი

სარჩევი

საერთო ინფორმაცია საქართველოზე 5

საერთო ინფორმაცია აჭარაზე 7

ბათუმი 10

ღირშესანიშნაობები

11 ბათუმის ბულვარი

12 ბათუმის „პიაცა“

13 ბოტანიკური ბაღი

14 დელფინარიუმი

15 გონიოს ციხე

16 სხალთის მონასტერი

17 მუზეუმები

18 თანამედროვე სკულპტურები

ტურიზმის სახეობები

საზღვაო ტურიზმი 20

ეკოტურიზმი 21

ფრინველებზე დაკვირვება 22

სოფლად ტურიზმი 23

ღვინის ტურიზმი 24

გასტრონომიული ტურიზმი 25

სამთო და სათხილამურო ტურიზმი 27

MICE ტურიზმი 28

გამოფენები 29

კულტურული ტურიზმი 30

ღონისძიებები 31

საკრუიზო ტურიზმი 32

სათამაშო ტურიზმი 33

ბათუმის ბუხტა

დაესწარი დელფინების დაუვიწყარ შოუს ბათუმში

განიტვირთე აჭარის ბუნებაში

ნახე ძველი და ახალი არქიტექტურის საინტერესო შერწყმა

დააგემოვნე ქედის ჩხავერი

იპოვე რომაელების კვალი გონიოს ციხეში

გასინჯე უგემრიელესი აჭარული ხაჭაპური

შეიგრძენი შავი ზღვის სიგრილე ცხელ ზაფხულში

აღმოაჩინე ძმები ნობელების კვალი ბათუმში

იცეკვე აჭარული განდაგანა

გაისეირნე ველოსიპედით ბათუმის ულამაზეს ბულვარში

იხილე 9 კლიმატური ზონის მცენარე ბათუმის ბოტანიკურ ბაღში

საქართველო

ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე საქართველო მრავალფეროვანი ბუნების, მთისა და ზღვის შერწყმული კლიმატის, ფოლკლორის, თვითმყოფადი ტრადიციების, მდიდარი ისტორიისა და უძველესი კულტურული მემკვიდრეობის, საუცხოო სამზარეულოსა და ღვინის ქვეყანაა, სადაც ვაზის კულტურა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა. იუნესკოს მიერ ქართული ქვევრის ღვინის დაყენების 8000 წლიანი ტრადიცია და ქართული მრავალხმიანი სიმღერა აღიარებულ იქნა მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად. იუნესკოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი ასევე ქალაქი მცხეთა, გელათის მონასტერი, ბაგრატი, ზემო სვანეთი.

დღეს საქართველო ახალ ტურისტულ მიმართულებას წარმოადგენს მსოფლიოში, რომელიც მდიდარი ტურისტული პოტენციალით სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. დიდი ბრიტანეთის ცნობილ ტურისტული მეგზური "Rough Guide" საქართველოს 2014 წლის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სამოგზაურო ქვეყნად ასახელებს.

დროშა

გერბი

ფართობი: 69,700 კმ²
მოსახლეობა: 4,630,841
დედაქალაქი: თბილისი
ოფიციალური ენა: ქართული
კლიმატი: სუბტროპიკულიდან ზომიერ ჰავაზე გარდამავალი
ტემპერატურა: ზაფხულში +17 °C – +29 °C, ზამთარში +5 °C -10 °C-ს აღწევს
საერთაშორისო სატელეფონო კოდი: +995
დროის სარტყელი: UTC +4

Magdalena Konik©

აჭარა

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე. აჭარას, როგორც საქართველოს შემადგენლობაში არსებულ ავტონომიურ რესპუბლიკას, გააჩნია საკუთარი დროშა და გერბი. იგი სამხრეთით ესაზღვრება თურქეთს.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება 1 საუკუნეში სწორედ აჭარის ტერიტორიიდან დაიწყო და მე-4 საუკუნეში ქვეყნის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ქრისტიანობა აქ ქრისტეს მოციქულებს ანდრია პირველწოდებულსა და სვიმონ კანანელს უქადაგია. ზოგიერთი წყაროს ცნობით ქრისტეს კიდევ ერთი მოციქული მატათა აჭარაშივე, კერძოდ გონიოს ტერიტორიაზეა დაკრძალული.

დღეს აჭარა სხვადასხვა აღმსარებლობის მშვიდობიანი თანაარსებობის მაგალითია, აქ შეგიძლიათ მოინახულოთ როგორც ქრისტიანული, ისე მუსლიმანური ძეგლები, სინაგოგა, კათოლიკური და სომხური ტაძრები. გარდა რელიგიური ძეგლებისა , აჭარა მდიდარია შუა საუკუნის უნიკალური თაღოვანი ხიდებითა და უძველესი ციხე-სიმაგრეებით, საინტერესო ისტორიული წარსულითა და ტრადიციებით.

აჭარაში მდებარეობს შავი ზღვის მარგალიტად წოდებული ქალაქი ბათუმი, რომელიც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპელი არქიტექტორების მიერ იქნა გაშენებული და დღესაც უმრავი არქიტექტურული სიახლის სიმბოლოა.

აჭარაში მდებარეობს ბათუმის, კვარიათის, სარფის, გონიოს, ციხისძირის, მწვანე კონცხის და ქობულეთის ულამაზესი პლიაჟები, რომლებიც ზაფხულობით უამრავ ტურისტს მასპინძლობს და დაუვიწყარ დასვენებას ჰპირდება.

განსაკუთრებული ხიბლი აქვს აჭარის ბუნებას, რომელიც მრავალფეროვან კლიმატურ ზონებშია წარმოდგენილი და დღემდე აქვს შემორჩენილი "პირველყოფილი" სახე. სწორედ ასეთი ბუნება იზიდავს ეკოტურიზმის მოყვარულებს ჩვენს რეგიონში.

ფართობი: 2,9 000ᴢკმ² (ქვეყნის საერთო ტერიტორიის 4,2%)

მოსახლეობა: 400 000-მდე (82% ქართველი)

ადმინისტრაციული ცენტრი: ბათუმი

ოფიციალური ენა: ქართული

ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულები: ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო.

საზღვრის საერთო სიგრძე: 270 კმ, მათ შორის საზღვაო - 57 კმ.

ბათუმი

აჭარაში მდებარეობს შავი ზღვის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი ბათუმი, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდეა დაფუძნებული. ბათუმის პირვანდელი ფორმა - ბათუსი ძვ.წ.ა. IV საუკუნეში უკვე მოიხსენიებოდა. საინტერესო ისტორიულმა წარსულმა მნიშვნელოვნად განაპირობა ბათუმის არქიტექტურული სიმდიდრე (ევროპელი არქიტექტორების არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელება ჯერ კიდევ პორტო-ფრანკოდ წოდებულ პერიოდში), ისევე როგორც პოპულარულ საპორტო თუ ტურისტულ ქალაქად გადაქცევა საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პერიოდებში.

ბათუმი თავისი ძველი თუ ახალი არქიტექტურული შენობებით, უძველესი პორტით, ბოტანიკური ბაღითა და ზღვისპირა ბულვარით, ევროპული მოედნებითა და ქუჩებით, მსოფლიო ბრენდის მაღალი კლასის სასტუმროებითა და კოლორიტული კაფეებით თანამედროვე საქართველოს საუკეთესო სახეა.

ბათუმის ზღვისპირა ბულვარის განაშენიანება 1881 წლიდან იწყება და მასში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ პრუსიელ მებაღეს რესლერს და ფრანგ მიხეილ დალფონსს. ბოლო წლებში ბათუმის ბულვარის ტერიტორია საგრძნობლად გაიზარდა და დღეისათვის მისი სიგრძე 7 კილომეტრს აღწევს. თანამედროვე სტანდარტებით გაშენდა ესპანელი არქიტექტორის მიერ დაპროექტებული ე.წ. ახალი ბულვარი. ბულვარის სანაპირო ზოლი ბუნგალოებით, კაფე-ლაუნჯებით, რესტორნებით, საბავშვო ატრაქციონებით, თანამედროვე დიზაინის მოსასვენებლი სკამებით, სკულპტურებითა და ახალი ფანტანებით დამშვენდა და იგი ქალაქის სტუმრებისათვის ყველაზე მიმზიდველ ადგილს წარმოადგენს. ბულვარის ტერიტორიაზეა განთავსებული კოლონადები, რომელიც 1934 წლიდან ბათუმის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია.

ბათუმის ბულვარი

ბათუმის პიაცა ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი მოედანია საქართველოში. პიაცას კომპლექსი აერთიანებს რამოდენიმე სასტუმროს, რესტორანსა და კაფე-ბარს. პიაცამ უკვე დაიმკვიდრა გასართობი ცენტრის სტატუსი. აქ გაიმართა მსოფლიოში ცნობილი ისეთი დიდი მუსიკოსების კონცერტები, როგორებიც არიან: პლასიდო დომინგო, კრის ბოტი, სტინგი, მეისი გრეი, მიშელ ლეგრანი და სხვა.

პიაცა

ბოტანიკური ბაღი

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ბოტანიკური ბაღი დაარსებულია 1912 წელს ანდრეი კრასნოვის მიერ, რომელიც ბოტანიკისა და ფიზიკური გეოგრაფიის აღიარებული კლასიკოსია.

ბაღის ფლორისტული სიმდიდრე 111 ჰექტარზე გაშენებულ ცხრა განყოფილებითაა წარმოდგენილი. ესენია: აღმოსავლეთ აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ ამერიკის, ჰიმალაის, მექსიკის, ავსტრალიის, ხმელთაშუა ზღვის და ამიერკავკასიის ტენიანი სუბტროპიკების განყოფილებები.

ბოტანიკურ ბაღში ვიზიტი შესაძლებელია როგორც ფეხით, ისე სპეციალური საექსკურსიო ელექტრო-მობილებით.

ბათუმის 6 მაისის პარკის ტერიტორიაზე განთავსებულია დელფინარიუმი, რომელიც თავისი უნიკალური სამ ენოვანი შოუებით უკვე იქცა ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ვიზიტირებულ ტურისტულ ატრაქციად. 6 მაისის პარკი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სამოქალაქო ბაღია, რომლის განაშენიანება 1881 წლიდან დაიწყო. პარკის ტერიტორიაზე დელფინარიუმის გარდა განლაგებულია აკვარიუმი, ზოოკუთხე და საბავშვო ატრაქციონები. პარკში შესაძლებელია ნავით ტბაზე გასეირნება.

ბათუმის დელფინარიუმი

ბათუმიდან სამხრეთით, 12 კმ.დაშორებით, მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე. საქართველოში ერთ-ერთი უძველესი დასახლება ამ ციხის ირგვლივ მდებარეობდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია როგორც ელინისტური, ისე ბიზანტიური და ოსმალური ხანის მასალა. გონიო-აფსაროსის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული არგონავტების მითთან. ცნობილია, რომ სწორედ აქ დაკრძალა მეფე აიეტმა თავისი ვაჟი აფსაროსი, რომელიც გაქცეულმა იასონმა მოკლა. ზოგიერთი წყაროს გადმოცემით, აქვეა დაკრძალული ქრისტეს 12 მოციქულთაგან ერთ-ერთი - მატათა. გონიოს ციხის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მუზეუმი.

გონიოს ციხე

აჭარის გამორჩეული კულტურული ძეგლი - სხალთის მონასტერი ყველაზე მაღალმთიან ადგილას, ხულოს მინიციპალიტეტში მდებარეობს სხალთის კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც ერთნავიანი, დარბაზული ტიპის ნაგებობაა. მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებით ჩანს, რომ სხალთის მონასტერი აგებული უნდა იყოს XIII საუკუნის შუა ხანებში. გამორჩეულია სხალთის მონასტრის ფრესკები, რომლებიც უფრო გვიანდელი პერიოდს, XIV-XV საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს.

სხალთის მონასტერი

ბათუმის ხ.ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში შეგიძლიათ იხილოთ ანტიკური პერიოდის ბერძნული უნიკალური შავლაკიანი კრატერი, რომლის ანალოგიც პარიზის ლუვრის მუზეუმშია დაცული.

ბათუმში შეძლებთ აღმოაჩინოთ მსოფლიოში სახელგანთქმული ძმები ნობელების კვალი, რომლებმაც აქ დაიწყეს ნავთობსამრეწველო საქმიანობა. შენობაში, სადაც ისინი მოღვაწობდნენ , დღეს ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმია განთავსებული. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების საინტერესო ექსპოზიცია ელის აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის სტუმრებს, სადაც გონიოს განძთან ერთად ბრინჯაოს, მინისა და კერამიკის უნიკალური ნიმუშებია თავმოყრილი. ფერწერის მოყვარულებს ბათუმის ხელოვნების მუზეუმში ფიროსმანისა და გუდიაშვილის ტილოები შეგიძლიათ იხილოთ, ძველ ბათუმში კი რუსუდან ფეტვიაშვილის გალერეას ესტუმროთ და მისი ორიგინალური მხატვრობის ნიმუშებს გაეცნოთ. სტრიტ არტისა და ექსპერიმენტალური, თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებია გამოფენილი ქალაქის ახალ საგამოფენო სივრცეში „41/41“, სადაც ქართველ მხატვრებთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ხელოვანები მუშაობენ.



მუზეუმები

ბათუმი თანამედროვე სკულპტურებით გამორჩეული ქალაქია. ღია ცის ქვეშ, ზღვისა და პარკების საუცხოო პეიზაჟებში არაერთი საინტერესო სკულპტურული კომპოზიციაა თავმოყრილი. ბათუმში შესაძლებელია იხილოთ მსოფლიოში ერთ-ერთი თანამედროვე მიმდინარეობის „ფლუქსუსის“ ნიმუშები: ცნობილი ფრანგი მოქანდაკის ჟან დიუპის „WHERE“, ასევე ფრანგი ხელოვანის ბენ ვოტიეს „Liberté“. ქალაქის უმშვენიერეს სიმბოლოდ იქცა ქართველი მხატვრისა და მოქანდაკის ნინო კვესიტაძის თანამედროვე ნამუშავარი „ალი და ნინო“, რომელიც ქალისა და მამაკაცის ერთმანეთში მოძრავ ფიგურებს წარმოადგენს და სიყვარულის სიმბოლოს განასახიერებს.

თანამედროვე სკულპტურები ღია ცის ქვეშ

აჭარაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურიზმის სახეობა საზღვაო ტურიზმია. სუბტროპიკული კლიმატი, თბილი ზღვის ჰავა, საზღვაო კურორტების ინფრასტრუქტურა, ზღვის და მთის ჰაერის უნიკალური კომბინაცია შესანიშნავ დასასვენებელ პირობებს ქმნის აჭარაში ჩამოსული დამსვენებლებისათვის. საცურაო ზოლის მთლიანი სიგრძე 21 კმ-ს შეადგენს. ზღვის საშუალო ტემპერატურა 16,7 °C.

საზღვაო ტურიზმი

ეკოტურიზმი

ეკოტურიზმი აჭარაში ტურიზმის ერთ-ერთი წამყვანი სახეობაა. უცხოელი ტურისტების დიდ ნაწილს აჭარაში სწორედ ეკოტურიზმი იზიდავს. აჭარის მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა, ასევე ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე ეკოტურიზმის განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის. აჭარის ტერიტორიაზე 4 დაცული ტერიტორია და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები მოიპოვება.

შავი ზღვის სანაპირო, კერძოდ, ბათუმის შემოგარენი "აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო დერეფნის" სახელითაა ცნობილი, სადაც ყოველწლიურად 1.000.000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. აღნიშნულ ადგილებს ფრინველებზე დაკვირვების კუთხით მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. სწორედ რეგიონის უნიკალური ტოპოგრაფია და კლიმატი განაპირობებს გადამფრენი ფრინველების სიმრავლეს, რაც ბერდვოჩინგის უამრავ მოყვარულს იზიდავს და დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ჰპირდება.

ფრინველებზე დაკვირვება

აჭარის თვალწარმტაცი ბუნება, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება და სტუმართმოყვარე მოსახლეობა სოფლად ტურიზმის განვითარების საუკეთესო პირობებს ჰქმნის. აჭარის სოფლებში ტურისტებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ სხვადასხვა საქმიანობებში, როგორიცაა: მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მებაღეობა, მეღვინეობა, მეფუტკრეობა. ასევე გაეცნონ ხალხური რეწვის სახეებს, იჯირითონ ცხენზე, ინადირონ, ითევზაონ, მოაწყონ ლაშქრობები, დააგემოვნონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისგან დამზადებული ადგილობრივი კერძები და გაეცნონ ადგილობრივ ღირშესანიშნაობებს.

სოფლად ტურიზმი

საქართველოში მეღვინეობა-მევენახეობის ტრადიციები 8000 წლის წინათ იღებს სათავეს. UNESCO–ს მიერ ქართული ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიცია აღიარებულ იქნა მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად.
დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერას სწორედ აჭარა წარმოადგენს. აჭარის მასშტაბით მევენახეობა განსაკუთრებით განვითარებულია ქედის მუნიციპალიტეტში. აჭარაში წარმოებული ღვინის უნიკალური სახეობებია „ქედის ცოლიკაური“ და „ჩხავერი“ .

ღვინის ტურიზმი

აჭარული სამზარეულო მსოფლიოში კარგად ცნობილი ქართული ტრადიციული სამზარეულოს განუყოფელი ნაწილია, თუმცა ამავდროულად განიცდის აზიური კულინარიის კულტურულ ზეგავლენას. მთიანი აჭარის სამზარეულოში რძის პროდუქტები ჭარბობს. აჭარული სამზარეულო წარმოუდგენელია აჭარული ხაჭაპურის გარეშე. ადგილობრივ სამზარეულოში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტკბილეულობას.

გასტრონომიული ტურიზმი

სამთო და სათხილამურო ტურიზმი

საზღვაო კურორტების გარდა აჭარა სამთო-სათხილამურო კურორტების დიდი პოტენციალით გამოირჩევა.აჭარის მაღალმთიან ზონაში ჰავა ნოტიოა, ზამთარი შედარებით ცივი და ხანგრძლივია, ხოლო ზაფხული ხანმოკლე და გრილი. მთიან აჭარაში მთების საშუალო სიმაღლე 2.000-2.500 მეტრია.

ბოლო წლებში მაღალმთიან აჭარაში დაიწყო სამთო-სათხილამურო კურორტების გაშენება. მათ როგორც სამკურნალო-რეკრეაციული, ასევე გასართობი დანიშნულება აქვთ და ისინი წლის ოთხივე სეზონისთვისაა გათვალისწინებული.

MICE ტურიზმი

აჭარის რეგიონი საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს MICE-ტურიზმის მიმართულებით. რეგიონში არსებული სასტუმრო ინფრასტრუქტურა, საქმიანი შეხვედრებისათვის შექმნილი საუკეთესო გარემო ხელს უწყობს საერთაშორისო დონის გამოფენების და ღონისძიებების ჩატარებას, იზიდავს MICE-სექტორში მომუშავე პროფესიონალებს როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე უცხოეთიდან.

კულტურული ტურიზმი

რეგიონის ისტორიულ-კულტურულ სიმდიდრეს ადასტურებს როგორც აჭარის ტერიტორიაზე შემორჩენილი უძველესი ძეგლების ნაშთები, ისე თვითმყოფადი კულტურული მემკვიდრეობა. უძველესი დროიდან იღებს სათავეს მთელ მსოფლიოში ცნობილი ქართული ფოლკლორის გამორჩეული ცეკვები „ხორუმი“ და „აჭარული“, რომლებიც ჩვენი რეგიონის იდენტობის საუკეთესო გამოხატულებაა. მნიშვნელოვანია რეგიონის სიმდიდრე არქეოლოგიური თვალსაზრისითაც, იგი საკაცობრიო ცივილიზაციის მეტად საინტერესო რეგიონთა რიცხვს განეკუთვნება.

მე-19 საუკუნეში ბათუმის საპორტო ქალაქად გადაქცევას უკავშირდება ევროპელი არქიტექტორების მიერ ქალაქის განაშენიანება. ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული შენობები დღესაც მიმზიდველ და განსხვავებულ იერს სძენს ზღვისპირა ქალაქს.

აჭარა-ბათუმი გამორჩეულია კულტურული ღონისძიებების სიმრავლით. იგი ყოველწლიურად მნიშვნელოვან კულტურულ, სპორტულ და სამეცნიერო ღონისძიებებს, სახალხო დღესასწაულებს, საერთაშორისო მუსიკალურ თუ კინო ფესტივალებს მასპინძლობს.



ღონისძიებები

„შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი“; (ივლისი)

საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი “Biaff”; (სექტემბერი)

ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი “Tofuzi”; (ოქტომბერი)

ბათუმის კლასიკური მუსიკის ფესტივალი „ღამის სერენადები“ (სამხატვრო ხელმძღვანელი: ლიანა ისაკაძე). (აგვისტო)

ბათუმის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი (სამხატვრო ხელმძღვანელი: ელისო ბოლქვაძე). (ივლისი)

ბათუმის ეზოს ისტორიები

სტრიტ არტის ფესტივალი

სახალხო დღესასწაული-შუამთობა (აგვისტო), მაჭახლობა,(სექტემბერი), ქედელობა(ოქტომბერი), ჩაქვისთაობა (სექტემბერი), სელიმობა(ივნისი), კოლხობა(აგვისტო), შემოდგომა ქედაში (ოქტომბერი).

საკრუიზო ტურიზმი

კავკასიის რეგიონში ლოჯისტიკურ ცენტრად აღიარებული ბათუმის პორტი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში პოპულარულ საკრუიზო მიმართულებას წარმოადგენდა. ბოლო წლებში საკრუიზო ტურიზმი კვლავ იბრუნებს აქტუალობას, რასაც ადასტურებს ყოველწლიურად შემოსული საკრუიზო ხომალდების მზარდი სტატისტიკა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების დაინტერესება ბათუმის მიმართულებით.

სათამაშო ბიზნესი

სათამაშო ბიზნესი ბათუმში დიდი პოპულარობით სარგებლობს და აზარტის მოყვარულებს კაზინოების ფართო არჩევანს სთავაზობს. საქართველოს კანონმდებლობით სათამაშო ბიზნესის წარმოება ნებადართულია. ამჟამად, ბათუმში არსებული კაზინოების უმრავლესობა განლაგებულია 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების შენობებში. მაღალი კლასის სასტუმროების მშენებლობები უახლოეს წლებში სათამაშო ბიზნესის კიდევ უფრო განვითარებას შეუწყობს ხელს.

LIFESTYLE9.COM

GEORGIA AMONG TOP 10 SAFEST COUNTRIES IN THE WORLD

"The crime rate in Georgia is reported to be very low and is exactly why it has made it to eighth place in the safest countries in the world list.
Based on the recent investigations, 98% Georgians, who took part in the survey, said that they feel 100% safe being at Georgia territory. Thus, the country goes one among the world leaders in the safety level. "

Top 10 Safest Countries In The World To Settle In 2014.

lonely planet

BEST VALUE DESTINATIONS FOR 2013

Georgia is, like its Caucasian neighbours, little known to most travellers. Those who do go come back raving about a beautiful, friendly country that offers excellent, inexpensive (though potentially waist-expanding) cuisine, typified by the near-universal khachapuri (cheese pie). In recent years the country has been speeding up its tourism development, resulting in a growing number of good-value hostels and homestays, which are great ways to meet locals as well as keep costs down. Look out for August if you're hitting Batumi or elsewhere on the Black Sea coast, but otherwise anytime is a good time to visit this up-and-coming destination where even a bus, train or marshrustka minibus ride will give jaw-dropping views worth far more than the meagre fare you're likely to be charged.

Lonely Planet's Best in Travel 2013.

The Washington Post

BATUMI 'MIRACLE'

This city is one of the oldest on earth, as humans lived here at least as early as the 12th century B.C. Now, it is rapidly becoming one of the most modern cities on the planet.

Batumi is the major city in the Ajara region of Georgia. Along a few-miles-long stretch of the Black Sea coast from the airport to the old city center, a string of architecturally distinctive luxury international hotels, office buildings and residences have been completed recently, and others are still under construction. Batumi is still too much of a summer tourist center. The secret of Georgia and Batumi's success is simple - less regulation, lower taxes and more freedom. That is a formula that can work everywhere.

Richard W. Rahn
The Washington Times 2012.

THE AMERICAN ACADEMY OF HOSPITALITY SCIENCES

2012

THE AMERICAN ACADEMY
Star Diamond Award
BATUMI BEST DESTINATION

BATUMI
BEST NEW DESTINATION

The American Academy of Hospitality Sciences unanimously agree that this destination consistently maintains the overall standards of high quality and superb performance necessary to designate it as One of the Finest in its Category and Classification

Joseph D.Cinque
President

Donald J. Trump
Ambasador Extraordinaire

Bill Fisher
Luxury Travel Expert